მიაქციეთ ყურადღება!
1. ეს ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ძალაში იყო ოპერაციის მოხდენის მომენტისათვის.

ამოცანა **N2**
მოგების გადასახადი
(ესტონური მოდელი)

შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო**" - ახორციელებს სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2014 წლის 1 მარტიდან, საიდენტიფიკაციო კოდი #404500328, იურიდიული მისამართი - თბილისი, ბაქრაძის ქ. # 8. 202X წლის ნოემბრის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია და დანართები შემდეგი მონაცემების მიხედვით:

სტრიქონების შევსების მაგალითები:

16. განაწილებული მოგება

16.1 განაწილებული დივიდენდი

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით:
- საანგარიშო წლის ნოემბრის თვეში საწარმომ დამფუძნებელ პირებზე გაანაწილა 01.01.2017 წლამდე დაგროვილი მოგება – **200 000** ლარის ოდენობით. გასულ პერიოდში საწარმოს მიღებული აქვს შემდეგი მონაცემები:

- 2014 წლის ზარალი – **5,000** ლარი, გადახდილი მოგების გადასახადი – **500** ლარი;
- 2015 წლის წმინდა მოგება – **515 000** ლარი, გადახდილი მოგების გადასახადი – **71,100** ლარი;
- 2016 წლის წმინდა მოგება – **170 000** ლარი, გადახდილი მოგების გადასახადი – **10,400** ლარი.

- ამავე ნოემბრის თვეში საწარმომ დამფუძნებელ პირებზე დამატებით გაანაწილა საანგარიშო პერიოდის გაუნაწილებელ მოგებიდან საავანსო დივიდენდი თანხით **30 000** ლარი.

- ამავე ნოემბრის თვეში საწარმომ დამფუძნებელ პირებზე დივიდენდის სახით დამატებით გაანაწილა მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული ოპერაციებიდან (მიღებული პროცენტები, ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია) მიგებული მოგებიდან **25 000** ლარი. (აისახება 16.1 და 22 უჯრებში)

➢ **გამოითვალეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციის დანართში 1-ში და მოგების დეკლარაციის 16.1.1 და 25.1. უჯრაში.**

16.3 შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო**" და ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტად **რეგისტრირებული შ.პ.ს. „ანაკლია"** ურთიერთდამოკიდებული პირები არიან. მათ შორის განხორციელებულია შემდეგი ოპერაციები:
- **16.3.1.** შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო**" - მ **50,000** ლარად (დღგ-ის ჩათვლით) მიაწოდა შპს „ანაკლია"- ს საქონელი, რომლის საბაზრო ფასი შეადგენს **75,000** ლარს (დღგ-ის გარეშე). შპს „ანაკლია"- მ საქონელი წაიღო საანგარიშო წლის 20 ნოემბერს ხოლო თანხა კი გადაიხადა ამავე წლის 30 დეკემბერს.
- **16.3.2.** შ.პ.ს. "**ACCA-სანიმუშო**" -მ **100,000** ლარად (დღგ-ის გარეშე) შპს „ანაკლია"-სგან შეიძინა აქტივი, რომლის საბაზრო ფასიც დადგინდა, რომ არის **50 000** ლარი. თანხის გადახდაც და საქონლის მიღებაც საანგარიშო ნოემბრის თვეში მოხდა.

• გარდა ამისა 20% წილის მფლობელი შ.პ.ს. „მიკრო G“-სგან შეიძინა საქონელი **500 000** ლარად, მაშინ როდესაც ამ საქონლის საბაზრო ფასი შეადგენდა **260 000** ლარს.

• **16.4**. საწარმოს ბალანსზე ერიცხებოდა ორი მსუბუქი ავტომობილი, რომელთა თითოეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა **3 500** ლარს. ეს ავტომობილები შემფასებელი ფირმის მიერ შეფასებული იყო საბაზრო ღირებულებით თითოეული **5 000** ლარად. 20 ნოემბრის ერთი ავტომობილი **7000** ლარად გაიკოდა დამფუძნებელზე შ.პ.ს „ვანო მჟავა LTD“ (წილი კაპიტალში 25%), რომელიც ვირტუალური ზონის იურიდიული პირია და არ იხდის მოგების გადასახადს, ხოლო მეორე **1 500** ლარად სსიპ „64-ე საჯარო სკოლა“-ს.
• **16.4.2.** 12ნოემბერს საწარმომ ფიზიკური პირისგან **220 000** ლარად შეიძინა სასაწყობო შენობა, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს **120 000** ლარს (თანხები მოცემულია დღგ-ის გარეშე).

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხები და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

16.5. კონტროლირებადი ოპერაციები

• 19 ნოემბერს ბრიტანული ვერჯინიის კუნძულებზე (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა) რეგისტრირებულ პირისგან შეძენილი იქნა საქონელი **500 000** ლარად (ეკვივალენტი დოლარში), რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა **350 000** ლარს (ეკვივალენტი დოლარში);
• შპს **„ACCA-მაგალითი“** საანგარიშო წლის იანვარში ექსპორტის რეჟიმით უკრაინის ფირმა „ზაპოროჯსტალ LTD“ - ს მიაწოდა 100 ტონა სილოკომანგანუმი. ინვოისით 1 ტონა სილიკომანგანუმის ღირებულებაა **1000 $.** სულ 1 000 000$.
• ნოემბერში, ყაზახეთის ფირმა „ალატოო“-ს, რომლის საწარმო 30% წილის მფლობელია, მიაწოდა 50 ტონა სილოკომანგანუმი. მიწოდებისას 1 ტონა სილიკომანგანუმის ღირებულება ინვოისით იყო **700$** .
• ოპერაციების მოხდენის მომენტში დოლარის კურსი უდრიდა **3.0** ლარს. სხვა ექსპორტის ოპერაციები საწარმოს 202X წელს არ აქვს განხორციელებული.

შენიშვნა: საგადასახადო ორგანოს მიერ ეს ოპერაციები განხილული იყო როგორც კონტროლირებული ოპერაციები და მიღებული იქნა გადაწყვეტილება მათი კორექტირების შესახებ.
➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადის კორექტირების თანხა**

17. ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულს

17.1. დოკუმენტალურად დაუდასტურებელი ხარჯი

აპრილის თვეში საწარმომ სხვადასხვა ფიზიკურ პირებთან განახორციელა შემდეგი ოპერაციები:
• 30 ნოემბერს საწარმოში განხორციელდა სხვა და სხვა ავტოგასამართ სადგურებში შეძენილი საწვავის ხარჯად აღიარების ოპერაციები, საერთო თანხით **20 000** ლარი. აქედან ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით შეძენილია **15 000** ლარის საწვავი, დანარჩენი საწვავის შეძენაზე წარდგენილია საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკები.

17.2. ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება

• 8 ნოემბერს საწარმომ შეიძინა 100 ცალი გასაღების ბეჭდები (ბრელოკები), რომელზეც გამოხატულია საწარმოს „ლოგო“ სულ **500** ლარის (დღგ-ის ჩათვლით). ნოემბრის თვეში რეკლამის მიზნით აქციის ფარგლებში შეძენის ფასად 50 ცალი ბრელოკი დაურიგდა მყიდველ ფიზიკურ პირებს, ხოლო 50 ცალი გადაეცა დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებს;
• 5 ნოემბერს სპორტულ კლუბ „დინამო“ თბილისი გადარიცხულია **12 000** ლარი სპონსორული დახმარება;

• ნოემბერში კომპანიის სალაროდან ნაწილ ნაწილ გატანილია **30 000** ლარი, და ნაღდი ფულით, ხულოს რაიონის დეპუტატის თხოვნით, გადახდილია საპროექტო ორგანიზაციას - მდინარე ჭოროხზე გადასასვლელი ხიდის მშენებლობაზე, რაზეც გამოიწერა ანგარიშ-ფაქრურა. თანხის ხარჯვაზე არსებობს შესაბამისი დოკუმენტები, თუმდაც შენაძენს არ აქვს არავითარი კავშირი კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან. ბურუსით მოცულია აღნიშნული პროექტის სამომავლოდ ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებას.

17.3. სხვა ხარჯი

• 25 ნოემბერს მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირმა საწარმოს გაუწია ლიფტის შეკეთების მომსახურება, რაზეც გაფორმდა შესაბამისი დოკუმენტი (საგადასახადო დოკუმენტი). მომსახურების ღირებულება შეადგენს **1 500** ლარს (ბრუტო თანხა) და დაიბეგრა გადასახადის წყაროსთან.

• 3 ნოემბერს ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მქონე ფიზიკურმა პირმა საწარმოს გაუწია ავტომობილის ძრავის კაპიტალური შეკეთება, რაზეც გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. მომსახურების ღირებულება შეადგენს (ძრავის სათადარიგო ნაწილების ჩათვლით) **2 000** ლარს (ბრუტო თანხა). თანხა გადარიცხულია ფიზიკური პირის ანგარიშზე.

• საწარმოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში შ.პ.ს. „კაპიტალ“-ში აღებული აქვს ერთწლიანი სესხი თანხით 100 000 ლარი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 36%-ს. 15ნოემბერს მსესხებელს გადაერიცხა მიმდინარე თვის კუთვნილი პროცენტი თანხით **3 000** ლარი.

• საწარმომ სესხის გამცემ სუბიექტ „სგს მევახშე“-სთან გააფორმა ერთწლიანი სესხი თანხით 100 000 ლარი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 36%-ს. 25 ნოემბერს მსესხებელს გადაერიცხა მიმდინარე თვის კუთვნილი პროცენტი თანხით **3 000** ლარი.

18. გადახდები, რომელიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულს

18.1. შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანაში ან/და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული

18.1.1. სასესხო ფასიანი ქაღალდების შეძენა

• ლუქსემბურგის (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა) საფონდო ბირჟაზე (**LuxSE**) ევრო ობლიგაციების 70 000€ (ეკვივალენტი **260 000** ლარი) ოდენობით შეძენა;

• თბილისის საფონდო ბირჟაზე ს/ს „სილქნეტი“-ს ობლიგაციების შეძენა 100 000$ (ეკვივალენტი **315 000** ლარი) ოდენობით.

18.1.2. ჯარიმის/ პირგასამტეხლოს გადახდა

ნოემბრის თვეში საწარმოს გადახდილი აქვს ჯარიმის/ პირგასამტეხლოს თანხები შემდეგ პირებზე:

• შ.პ.ს. „საქართველოს რკინიგზა“ ვაგონების მოცდენის - **5,000** ლარი;

• ამერიკის საელჩოს საქონლის მიუწვდომლობის გამო - **20,000** ლარი;

• საგადასახადო დეპარტამენტს, საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის - **200** ლარი.

18.1.3. ავანსის გადახდა:

• 16 ნოემბერს ახალქალაქში (მაღალმთიანი დასახლება) რეგისტრირებულ ინდ/მეწარმეს **8 000** ლარი - სექტემბერში 20 000 ლარის მოსაწოდებელი კარტოფილის ღირებულების ავანსი;

• 5 ნოემბერს ს/ს „წყალი მარგებლის“ (ნაბეღლავი) - **10 000** ლარი მინერალური წყლის დეკემბერში მიწოდებისთვის.

• 1 ნოემბერს საჯარო სამართლის იურიდიული პირს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ს **375** ლარი მომდევნო წლის იანვარ-დეკემბრის საკანონმდებლო სიახლეების ელექტრონული სარგებლობის წლიური საფასური.

18.1.4. სესხის გაცემა

- 1 ნოემბერს საწარმომ ერთი წლის ვადით კვიპრისში რეგისრტირებულ საწარმოს (შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანა) ასესხა **50 000** ლარი (ეკვივალენტი ა.შ.შ. დოლარში) წლიური 25%-იანი საპროცენტო განაკვეთით;
- 25 ნოემბერს ორი თვის ვადით ბათუმში განლაგებულ შვილობილ საწარმოს - აზარტულ კლუბს „აჭარა"-ს **100 000** ლარი;
- 20 ნოემბერს სამი წლის ვადით ქუთაისში რეგისტრირებულ შვილობილ საწარმოს შპს **„ACCA-მაგალითი+" 20 000** ლარი;

18.1.5. მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმა

- 8 ნოემბერს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით ჩამოწერილია ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანება შემდეგი პირების:
- ინდ/მეწარმე ვასილ გობრონიძეს - **500** ლარი, პირის გარდაცვალების და მემკვიდრეების არ არსებობის გამო;
- დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "სტალინი"-ს - **10 000** ლარი, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო;
- ფიზიკურ პირს ერასტე მონიავას -2018 წელს უბედური შემთხვევის (ავარიის) შედეგად საწარმოს ქონებისთვის მიყენებული ზიანის - **980** ლარის პატიების გამო. საფუძველი საწარმოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია დებიტორის საკუთრებაში ქონების არ არსებობის შესახებ.
- შ.პ.ს. „მარცვალი"-ს - **17 280** ლარი;
- ს.ს.ი.პ. „#64 საჯარო სკოლა"- **300** ლარი.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

18.2. კაპიტალში შენატანი

აპრილის თვეში საწარმოს განხორციელებული აქვს შემდეგი ოპერაციები:

- 5 ნოემბერს შპს **„ACCA-მაგალითი"** თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დაფუძნებულ საწარმოში, რომელსაც მინიჭებული აქვს თიზ-ის საწარმოს სტატუსი და რომლის საქმიანობის სფეროა კრიპტოვალუტის მოპოვება (ე.წ. მაინინგი) კაპიტალში დამატებით შეიტანა **200 000** ლარი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.
- 15 ნოემბერს 25%-ის წილის სანაცვლოდ სამშენებლო კომპანია შ.პ.ს. „ვეგა"-ს კაპიტალში შეტანილია ავტო/ამწე „ტოდანო", რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 35 000 ლარს, ხოლო დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით განხორციელებულ შეფასებით საბაზრო ღირებულება შეადგენს **50 000** ლარს.
- 22 ნოემბერს საფონდო ბირჟაზე ს/ს „ბახტრიონი"-ს **2 000** ც. აქციის შეძენა (1 აქციის ღირებულება **10** ლარი);
- 23 ნოემბერს 15 000 € (ეკვივალენტი **61 800** ლარი) - ბულგარეთში დაფუძნებული კომპანიის კაპიტალში 19,5 % წილის შეძენისთვის გადარიცხვა;

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

18.3 ფიზიკური პირისთვის ან არარეზიდენტისთვის სესხის გაცემა

ნოემბრის **თვეში საწარმოს განხორციელებული აქვს შემდეგი ოპერაციები:**

- საბერძნეთში რეგისტრირებული პირისთვის-ნიკოლას მარანტიდისთვის **50 000** ლარის (ეკვივალენტი €) 1 წლიანი 10%-იანი სესხის გაცემა;
- ფიზიკური პირს, უკრაინის რეზიდენტს - **100 000** ლარის 2 თვიანი უპროცენტო სესხის გაცემა;
- იტალიური ფირმა „ერნესტო კამარონე LTD"-ს 10 000 € (ეკვივალენტი ლარში **31 200** ლარი) ექვსთვიანი 15%-იანი სესხის გაცემა'

- საქართველოს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირისათვის - ვასილ მუზაევისთვის 20 000$ (ეკვივალენტი **67 000** ლარი) 2 წლიანი 12%-იანი სესხის გაცემა;
- საწარმოს დირექტორს - გერონტი მელუას გონევრული ნაშთის გაანგარიშების შედეგად **10 000** ლარის 20%-იანი სესხად გაფორმების გამო;
- 18 ნოემბერს საწარმომ საკუთარი დეპოზიტით (**30 000** ლარი) ნაწილობრივ უზრუნველყო დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიერ ბანკიდან აღებული კრედიტი - **35 000** ლარი.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

19. საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება/გაწევა, ფულადი სახსრების გადაცემა

- 18 ნოემბერს საწარმოში არამომუშავე საქართველოს მოქალაქეს - მალხაზ ფერაძეს სალაროდან გაეცა დახმარება საზღვარგარეთ სწავლისათვის **999** ლარი (ნეტო ტანხა).
- 20 ნოემბერს გადარიცხულია ისრაელის ჰოსპიტალში **20 000** € (ეკვივალენტი **56 000** ლარი) თანამშრომლის მკურნალობის საფასური.

ნოემბერში **საწარმოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემულია:**
- რეგისტრირებულ საქველმოქმედო ფონდ „ხარება"-ს შემოწირულობა **3 500** ლარი;
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საწარმოში დაქირავებით არ მომუშავე ფიზიკურ პირს უკრაინიდან დევნილს - ტატიანა ხიმჩაკს კვების პროდუქტები **944** ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ოდენობით;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ს.ს.ი.პ. „მერწმუნე"-ს ნამცხვრების (პასკების) საცხობი ღუმელი ღირებულებით **12 000** ლარი (დღგ-ის) ჩათვლით;

შენიშვნა: წინა წელს საწარმოს წმინდა მოგება უდრიდა **20 000** ლარს.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

19.1. დანაკლისის დაბეგვრა
- 30 ნოემბერს გაფორმებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციით გამოვლინდა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი და პირველადი საგადასახადო დოკუმენტის გარეშე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები საბაზრო ღირებულებით **10 000** ლარი და დანაკლისი, რომლის თვითღირებულება **7,000** ლარია, ხოლო საბაზრო ღირებულება **9 440** ლარი (დღგ-ის ჩათვლით). აღურიცხავი ფასეულობების თანხა აღებულია შემოსავალში, ხოლო დანაკლისი ჩამოწერილია საწარმოს ფინანსურ შედეგებზე.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

20. წარმომადგენლობითი ხარჯები
- წინა წელს ბუღალტრული მოგება-ზარალის ანგარიშის მიხედვით საწარმოში ფიქსირდება ნულოვანი შედეგი, ანუ შემოსავალი იყო **1,250,000** ლარი, ხოლო მთლიანი ხარჯი – **1,250,000** ლარი.

საანგარიშო წლის იანვარ-აპრილში საწარმოს ხარჯები 250 000 ლარი, ხოლო წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინეს:
- იანვარში – **2,650** ლარი;
- თებერვალში – **1,300** ლარი;
- მარტში - **2,055** ლარი;
-ნოემბერში – **8,300** ლარი;

➢ **გამოთვალეთ აპრილის თვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმომადგენლობითი ხარჯების მიხედვით და გადაიტანეთ მონაცემი სამუშაო რვეულში**

22. მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული ოპერაციები

• ნოემბერში საზოგადოებამ დივიდენდის სახით გაანაწილა ბანკში საწარმოს ანგარიშზე დაგროვილი **20 000** ლარი, ბანკში დეპოზიტზე განთავსებულ თანხაზე კუთვნილი პროცენტის ჩარიცხული თანხა.

• აგრეთვე ნოემბრის თვეში გაანაწილა **5 000** ლარი თავისუფლად მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) რეალიზაციიდან მიღებული მოგება;

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

25. გადახდილი მოგების გადასახადი, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას

25.1. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას მოგების გადასახადის თანხა, რომელიც ექვემდებარება ჩათვლას.

• **თანხა გადაიტანება დანართი 1-ს მე-6 სტრიქონიდან.** ამასთან არ უნდა აღემატებოდეს დეკლარაციის 16.1 სტრიქონში ასახული თანხიდან მოგების გადასახადის გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა.

• **25.2.1.** უცხოეთში საქმიანობით მიღებული შემოსავალი/მოგება შეადგინა 25 000 ლარი (ეკვივალენტი €-ში), რომელიც გადასახადის წყაროსთან დაიბეგრა მოგების გადასახადით 20%-იანი განაკვეთით **5000** ლარი (ეკვივალენტი €-ში).

➢ **გამოთვალეთ აპრილის თვის ამ ეპიზოდით მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხა**

27. შესამცირებელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადი

27.1. ფასიანი ქაღალდების, კაპიტალში მონაწილეობის უფლების და ა.შ. ანაზღაურებული თანხა

• 25 ნოემბერს საწარმომ **15 000** ლარად (ეკვივალენტი დოლარში) გაყიდა 2020 წელს მაისის თვეში შეძენილი მალტის (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა) ბანკის 1500 აქცია (შეძენის ოპერაცია დაიბეგრა მოგების გადასახადით 2020 წლის მაისის თვეში და აისახა დეკლარაციის 18.1.1. სტრიქონზე;

• 2017 წლის 10 ნოემბერს საწარმომ განახორციელა გადარიცხვა ყაზახეთის ფირმა „ალა ტოო"-ს კაპიტალში 30%-ის სანაცვლოდ 100 000 € (ეკვივალენტი ლარში 310 000 ლარი). თანხა ასახული იყო 18.2 სტრიქონზე და დაიბეგრა მოგების გადასახადით 2017 წლის ნოემბრის მოგების გადასახადის დეკლარაციაში.

საწარმოს 2022 წლის 1 ნოემბერს ყაზახეთის ფირმა „ალა ტოო"-სგან მიღებული აქვს და იმპორტის რეჟიმით 80 000 € – **ოდ (ეკვივალენტი 216 000 ლარი, დღგ – ის გარეშე, კურსი 2,7)** განბაჟებულია ექსკავატორი „JCB 4CX". ექსკავატორი წარმოადგენს ყაზახეთის ფირმა „ალა ტოო"-ს ლიკვიდაციის გამო კაპიტალში 30% წილის სანაცვლოდ 2017 წლის მაისში შეტანილი100 000 € (**ეკვივალენტი 310 000 ლარი , კურსი 3,1**) უკან დასაბრუნებელი თანხის ნაწილს.

➢ **გამოთვალეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხა**

27.2. გაცემული სესხის/ავანსის სანაცვლოდ მიღებული საკომპენსაციო თანხა/საქონლი

- საწარმოს მიერ 2018 წლის თებერვალში ტურისტული ზონის საწარმოსთვის გაცემული 10 000 ლარის სესხიდან (რომელიც დაიბეგრა თებერვალშივე და აისახა მოგების გადასახადის 18.1.4 უჯრაში) 23 ნოემბერს დაუბრუნდა **2 000** ლარი და მიიღო ამ სესხზე დარიცხული პროცენტის ნაწილი - 500 ლარი
- მაღალმთიან რეგიონში რეგისტრირებულ საწარმოსთვის ამა წლის იანვრის თვეში გადარიცხული 5 000 ლარის ავანსიდან (რომელიც დაიბეგრა იანვარში და აისახა მოგების გადასახადის 18.1.3 უჯრაში) სანაცვლოდ 3 აპრილს მიღებულია სხვადასხვა საქონელი თანხით **3 000** ლარი.
- 2021 წლის დეკემბრის თვეში საწარმომ არარეზიდენტ იურიდიულ პირს (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა-მალტა) გადაურიცხა **75,000** ლარის (ეკვივალენტი დოლარში) ავანსი საქონლის შესაძენად. თანხა ასახული იყო მოგების გადასახადის დეკლარაციის 18.1.3 სტრიქონზე და დაიბეგრა მოგების გადასახადით 2021 წლის დეკემბერში.

ხელშეკრულების თანახმად ავანსის სანაცვლოდ კუთვნილი საქონელი საწარმოს უცხოეთში ((შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა-ჰონკონგი) **EXW**-ის საბაჟო რეჟიმით გადმოეცა 1 ნოემბერს. ფოთის პორტში საქონლის ნაწილი თანხით **50 000** ლარი (ეკვივალენტი დოლარში) განბაჟდა 25 ნოემბერს , ხოლო დანარჩენი ნაწილი 5 დეკემბერს.

➢ **გამოთვალეთ ამ ოპერაციების მიხედვით ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა და გადაიტანეთ მონაცემები 1[2] დანართში და დეკლარაციაში.**

- საწარმომ 2022 წლის 1 ნოემბერს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „მანავი“-სთან გააფორმა ფორვარდული კონტრაქტი. კონტრაქტის თანახმად საწარმომ დაწყებული ნოემბრის თვიდან 12 თვის განმავლობაში ვალდებულია ყოველთვიურად გადაუხადოს კოოპერატივს **10 000** ლარი, სულ **120 000** ლარი, ხოლო კოოპერატივი იღებს ვალდებულებას 2023 წლის 31 დეკემბრამდე **120 000** ლარად მიაწოდოს პარტნიორს 4 000 დეკალიტრი ორწლიანი ღვინო „მანავის მწვანე“.
- 8 ნოემბერს კოოპერატივს მიწოდებული აქვს 1 000 დეკალიტრი ღვინო, რომლის ღირებულება შეადგენს **30 000** ლარს.

შენიშვნა: ფორვარდული კონტრაქტით მხარეები ვალდებულნი არიან უპირობოთ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი და ჩასათვლელი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში**

➢ **გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულიდან მოგების გადასახადის დეკლარაციაში და გამოიყვანეთ დასარიცხი/შესამცირებელი თვის მოგების გადასახადის სიდიდე.**

დანაეთი #3

➢ **სანიმუშო ამოწანის 18.1.4, 18.2, 18.3, 27.1 და 27.2 დავალებების საფუძველზე შეავსეთ დეკლარაციის დანართი #3-ს მონაცემები.**